



საკადასტრო საზღვარი

ბანაშენიანების რეგულირებით დადგენილი ბანაშენიანების რეგულირების ხაზები

ბანაშენიანების რეგულირებით დადგენილი შენობათა განთავსების არეალი


სასტუმროს ტიპის აპარტამენტები მაჭავარიანის ქუჩაზე	მასშტაბი 1:500	ფურცელი A3	თარიღი 2019 წ.
	არქიტექტორი	ა. ზერეკიძე	
ნახაზი შენობათა განთავსების ნახაზი	დაამუშავა	დ. კაკიძე	
	შეამოწმა		



სასტუმროს ტიპის აპარტამენტები მაჭავარიანის ქუჩაზე	მასშტაბი 1:100	ფურცელი A3	თარიღი 2019 წ.
	არქიტექტორი	ა. ზერქაძე	
ნახაზი მიწისქვეშა სართულის საანგარიშო ნახაზი	დაამუშავა	დ. პაპიძე	
	შეამოწმა		

	მიწისქვეშა ფასადი	67.3 მ²
	მიწისზედა ფასადი	97.1 მ²
	შენობის პერიმეტრი	54.8 მ

$$\frac{\text{მიწისზედა ფასადი}\ 109.7\ \text{მ}^2}{\text{შენობის პერიმეტრი}\ 54.8\ \text{მ}} = 1.77 < 1.8$$



სასტუმროს ტიპის აპარტამენტები მაჭავარიანის ქუჩაზე	მასშტაბი 1:200	ფურცელი A3	თარიღი 2019
	არქიტექტორი	ა. ზერეკიძე	
ნახაზი მიწისქვეშა სართულის საანგარიშო ნახაზი	დაამუშავა	დ. პაიძე	
	შეამოწმა		

წერილის ნომერი: **17-01182814024**
თარიღი: **08/10/2018**
პინი: **1111**

ადრესატი: მალხაზი ფავლენიშვილი
პირადი ნომერი: 01009011590
მისამართი: ქ. თბილისი, ა. ყაზბეგის ქ. N26

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ბატონო მალხაზ,

თქვენი N19/01181002717-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ზემო ვეძისის დასახლება N 4/ ზემო ვეძისის დასახლება N2ა/ზემო ვეძისის დასახლება N3ა-ში, (საკ. კოდი 01.10.18.009.187) 2015 წლის 6 თებერვლის N1718798 (AR1269858) ბრძანებით შეთანხმებული სასტუმროს ტიპის აპარტამენტების III ბლოკის არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით ინსპექცია გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალისწინებით:

შეცვლილია ეზოს კეთილმოწყობა: „ქ“ ღეძის გარეთ გაუქმებულია გამწვანების ნაწილი და მის ადგილზე მოწყობილია სამანქანო პანდუსი. ნაწილობრივ შეცვლილია გრუნტის ზედაპირის ნიშნული. შენობის გარშემო შეცვლილია ბეტონის საფარის ზედაპირის ნიშნული და დამატებულია მონოლითური კედელი. მონოლითური კედლები პროექტში არ არის აღნიშნული განსხვავებული დაფერვით. ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების მდებარეობა და ნახატი. +3.20 ნიშნულზე და ზევით გაუქმებულია სადარბაზოსა და საერთო სარგებლობის სივრცის დამაკავშირებელი კარი, რის ხარჯზეც აღნიშნული სივრცე მიეკუთვნა საცხოვრებელ ფართს. რიგელების ნაწილი გაუქმებულია, ხოლო ნაწილის კვეთი შემცირებული. ავტოსადგომის სართულზე სართულზე არ არის ნაჩვენები მანქანის მოძრაობის სქემა, ასევე შესასვლელი და გასასვლელი.

„ქ-უ“ ფასადი: -2.00 ნიშნულზე გაუქმებულია ვიტრაჟი და მოწყობილია მონოლითური კედელი. „ქ-უ“ მონაკვეთში ± 0.00 ნიშნულზე და ზევით გაუქმებულია ვიტრაჟები. ფილის კონტურის და კედლის სიბრტყის ურთიერთ მდებარეობა არ შეესაბამება პროექტში ნაჩვენებს.
_9.00 და -6.00 ნიშნულებზე გაზრდილია ფართი, შეცვლილია კოლონების რაოდენობა და ნაწილობრივ კვეთი. „უ“ ღერძის გარეთ შეცვლილია ფილის კონტური.
± 0.00 ნიშნულზე „უ“ ღეძზე სადარბაზოს კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი და შემცირებულია კარის გაბარიტი. „ქ“ ღეძის გარეთ „10“ ღერძზე მდებარე კედლის სიგრძე გაზრდილია.
+9.60 ნიშნულზე შენობის კონტურზე დამატებულია დაბალი კედლები. გაზრდილია კიბის უჯრედის გადახურვის ფილა. დამატებულია კოლონები და რიგელები.
ჭრილი „1-1“: შემცირებულია „უ“ და „ქ“ ღერძის გარეთ კონსოლებით გადმოსული ნაწილი ფილის სისქე. -3.00 ნიშნულზე და ზევით “ფ“ რეძზე რიგელები გაუქმებულია, ხოლო -9.00 და -6.00 ნიშნულებზე შემცირებულია კვეთი.
ჭრილი „2-2“: კიბის უჯრედში მონაცვლებულია რიგელების მდებარეობა. +9.60 ნიშნულზე შემცირებულია ლიფტის შახტის სიმაღლე და გადახურულია ფილით.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის

კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ,,რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი